საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 8 მაისის

დადგენილება №2410

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სისტემაში არსებული ზოგიერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი
ერთეულის, ინსტიტუტის/ცენტრის სტატუსის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, უნივერსიტეტის 2017 წლის 6 აპრილის №53 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2017 წლის 21 აპრილის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სისტემაში არსებულ ქვემოთ ჩამოთვლილ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ინსტიტუტებს/ ცენტრებს განესაზღვროთ საუნივერსიტეტო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი და დაფუძნდნენ ამ დადგენილების სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე:

1.1. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი;
1.2. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი;
1.3. ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი;
1.4. არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი;
1.5. კვების მრეწველობის ინსტიტუტი;
1.6. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი;
1.7. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი;
1.8. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტს შეუერთდეს გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილება;
1.9. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;
1.10. ინსტიტუტი „ტალღა“;
1.11. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი;
1.12. ინსტიტუტი ტექინფორმი;
1.13. ბიოტექნოლოგიების ცენტრი;

1.14. კვანტური ფიზიკის ინსტიტუტი.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება წარედგინოს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) დასამტკიცებლად;
3. ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად დაფუძნებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ინსტიტუტების/ცენტრების დებულებები დასამტკიცებლად წარედგინოს სტუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
4. ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად დაფუძნებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, ინსტიტუტი/ცენტრი ჩაითვალოს შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცენტრის) უფლებამონაცვლედ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე